# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი.

ფასი:

წლიურათ . . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . . 3 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 124

წელიწადი მეორე

1913

ხუთშაბათი, 15 აგვისტო

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ИМЕРЕТИ“.

ტელეფონი № 149.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრო-თეატრი

„რადიუმი“

ხუთშაბათიდან 15 აგვისტო-დან

ახალი პროგრამით

პატე ჟურნალი

სისხლის ხარჩევნია

შემაძრწუნებელი დრამა შვიდ ნაწილათ 2000 მეტრ. სუსტსა და ნევრნიანებს ვსთხოვთ არ დაესწრონ. დირექცია სთხოვს საზოგა. ბავშები არ დაასწრონ ამ სეანსებს.

პაკსონი უმაღლეს საზოგადოებაში

უდიდესი კომედია პაკსონის მონაწილეობით.

ფასები ჩვეულებრივია.

დაწვრილებით პროგრამაში.

ანონსი.

ამ მოკლე ხანში ვაჩვენებთ ორ

სათამაშო სურათს

სათაურს გამოვაცხადებთ დადგმის დღეს.

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე

წელიწადი მეორე

1913

იმერეთი.

გაზეთის ფასი:

ერთი წლით . . . 7 მანეთი,
ნახევარი წლით . . . 4 მანეთი.
ერთი თვით. . . . 3 აბაზი.
და ცალკე ნუმრის . . . 1 შაური,

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამი მანეთი.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით პწკარი ღირს 3 შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ. ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ редакція газеты „ИМЕРЕТИ“

სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

ქვრივი ელისაბედ ექვთიმეს ასული სალაყაიასი და შვილები ამისი—გიორგი და ელენე მადლობას უცხადებენ ყველა იმათ ვინც პატივისცა წერილობით თუ პირადი დასწრებით მათი ძვირფასი ქმრისა და მამის

**კოსტანტინე ვახტანგის ძე სალაყაიას**

ხსოვნას, როგორც დასაფლავებასა, ისე ორმოცი დღის პანაშვიდის დროს.

ახალი წიგნის მაღაზია

კ. ი. ოცხელისა

ქუთაისში ალექსანდრეს ქუჩაზე ზ. კოკოჩაშვილის სახლში გაიხსნა

უდიდესი

წიგნის მაღაზია

კონსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა.

ახალ მაღაზიას შეძენილი აქვს მეტათ მრავალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი.

ახალ მაღაზიას სურს შეამავლობა გაუწიოს პროვინციის წიგნის მაღაზიებს, სასწავლებლებსა და წიგნსაცავებს, რომელთაც დაეთმობათ წიგნები, რაც შეიძლება, ფას-დაკლებით. ამაზე ყველა დარწმუნდება მაღაზიის პირდაპირი გაცნობით.

ახალი მაღაზია გახსნილია იქ, სადაც აქამდი მთავრიშვილის ყოფილი ამხანაგობის წიგნის მაღაზია არსებობდა; მის გვერდით გამართულია დ. ი. ოცხელის სპეციალური საკანცელარიო მაღაზია, სადაც მოიპოება ყოველნაირი სასწავლო ნივთი ძლიერ იაფათ.

აქიმი ვალერიან ლორთქიფანიძე

ღებულობს შინაგან, ბავშებისა და ნერვების ავათმყოფებს.

იქვე დიაგნოსტური კაბინეტი.

გამოკვლევა შარდისა (ვენერიული, ბუშტის, თირკმლების, შაქრის, ქარებისა და თირკმლების, ქვისა და ხრეშის ავათმყოფობის გამოცნობა).

ნახველისა (ჭლექი, ფილტვების ანთება, ინფლუენცა, აქტინომიკოზი და სხვ..)

სისხლისა (მალარია, ტიფი და სხვადასხვა გვარი უსისხლობა).

კუჭის სითხისა (კუჭის კატარი, მისი მუწუკი, კიბო და სხვა).

ექსკრემენტებისა (ნაწლევების პარაზიტებზე და მის კვერცხებზედ).

ჩირქისა (ჭლექი, დიფტერიტი და სხვა).

ქალის რძისა.

ადრესი: პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის ზევით.

თ. ა. მთავრიშვილის

წიგნის მაღაზია

აუწყებს მასწავლებლებს, მოსწავლეებს და პროვინციის წიგნის მაღაზიებს, რომ ამა 1913—14 სასწავლო წლისათვის დამზადებული აქვს

დიდძალი სახელმძღვანელო და სხვა

წიგნები,

რომელიც იხმარება ქალაქ ქუთაისისა და ქუთაისის გუბერნიის დაბალსა და საშვალო სასწავლებლებში.

ფასები საკმაოდ დაკლებულია.

მსურველთ შეუძლიათ წიგნებთან ერთად მოითხოვონ ჩვენგან სხვა სასწავლო ნივთებიც: რვეულები, კალმები, კალმის ტარები, კარანდაშები, საანგარიშო დავთრები და სხ., რასაც ძალიან დაკლებულ ფასათ დაუყონებლივ მივაწვდით გოკიელის საკანცელარიო მაღაზიიდან.

მისამართი: ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, ბოკერიას სახლი, ბულვართან.

თფილისის

კომერციული ბანკი

აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ მან გახსნა ფილიალური განყოფილება ქ. ქუთაისში ალექსანდრეს ქუჩ. ზაქ. კოკოჩაშვილის სახლში, სადაც ახდენს ყოველგვარ საბანკო ოპერაციებს.

ქუთაისის განყოფილება თფილისის კომერციული ბანკის.

ხონის

ექვს კლასიანი ვაჟთა პროგიმნაზიის

დირექტორი აცხადებს,

რომ მისაღები გამოცდანი პროგიმნაზიაში დაიწყება 22 აგვისტო-დან. ვაკანსიები ყოველ კლასშია.

განცხადება.

ქალთა ორ კლასიან სასწავლებელში პროფესიონალური განყოფილებით

1 სეკტემბრიდან

იხსნება მესამე კლასი:

მოწაფეების მიღება დაიწყება 20 აგვისტოდან. სასწავლებელი იმყოფება უწინდელ ბინაზე: თფილისის ქუჩა, ნიჟარაძის სახლი, № 46.

სასწავლებლის გამგე: ნ. ლ. მიქელაძის ასული დადიანისა.

ქრა-კერვის

სპეციალური სახელოსნო

ვღებულობ ქალთა ყოველგვარ ტანსაცმელს შესაკერათ, ხელმისაწდომ ფასათ.

შეკვეთილს ვასრულებთ თავის დროზე და პირნათლად.

მისამართი: თფილისის ქ. ქალაქის აფთიაქის პირდაპირ, ჯაშიკოვის სახლი.

პატივისცემით საშა ჭყონიასი.

ქირავდება

ერთი ოთახი მეორე სართულზე ბალახვანის ქ. სახლი პ. ბოჭორიშვილის მსურველს შეუძლია მიმართოს იქვე ეზოში.

იყიდება

ქუთაისში "პოდგორნი" ქუჩაზე რიონის პირისკენ ორსართულიანი ქვიტკირის სახლი სარდაფით.

მისამართი: „პოდგორნი“ ქუჩაზე ზაინკალი (слесарь) ერმილე ქორიძე.

შინაგან სნეულებათა აქიმი

ნიკ. ივ. შენგელია. მიღება: დილით 9—11 ს., საღ. 5—7. გენერლის (გოგებაშვილის) ქუჩა, საკ. სახლი.

აქიმი ვ. ა. ნემსაძე ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშვადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ფირალოვის სახლი.

აქიმი კ. თ. ტყეშელაშვილი.

ათი აპრილიდან ღებულობს ავათმყოფებს (შინაგანი ვენერიული კანის) ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან. პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში.

აქიმი ი. ჩარექოვი

იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე. მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში.

## როგორ ასწავლიან სახალხო შკოლებში.

დავსწრებივარ სახალხო შკოლების მოსწავლეთა გამოცდას.

და საშინელი ზნეობრივი ტკივილით მტკენია გული.

განათლების მაგიერათ გადაგვარება არის შედეგი ექვსი წლის სწავლისა.

მაგრამ,—რას ვამბობ,—კი არ ასწავლიან ექვსი წლის განმავლობაში, არამედ აწვალებენ და სტანჯავენ ნორჩ ახალთაობას. და კურსდასრულებულებმა არაფერი არ იციან: არც რუსული, არც ქართული, არც ისტორია და გეოგრაფია და არც ბუნებისმეტყველება და მეურნეობა.

რაღაც საცოდავი დაზეპირებული ნაწყვეტი ცნობებით აქვთ გამოტენილი თავი!

იმისთანა დამახინჯებული რუსულით წაიკითხავს ბავში წიგნს, რომ გული მოგიკვდება.

შინაარსისა, ხომ, რასაკვირველია, თითქმის სრულიად არაფერი გაეგება!

ან კი რა უნდა იყოს შინაარსი მისი საცოდავი სახელმძღვანელოებისა?!

საცოდაობაა, როდესაც ისტორიულ არაკებს მოგითხრობს; უაზროდ, დაულაგებლად, უცნაურად გადააბამს ერთმანეთზე მისთვის სრულიად გაუგებარს დაზეპირებულ ნაწყვეტებს!

მერე რას არ მოასწრებდა ექვს წელს, კარგი სისტემით რომ ესწავლა და მცოდნე მასწავლებელნი რომ ყოლოდა!

ამ ხნის განმავლობაში, ცხადია, ბევრს შეიძენდა.

პედაგოგიური ცრუმორწმუნოება, თუ კი ვისმე გონია, მცირეწლოვან ბავშს არ შეუძლია შეისწავლოს ბუნებათ.

პირიქით, ბავშს უფრო უყვარს, ვიდრე დიდს, გარშემორტყმული ბუნება და მაშ მეტი ხალისით შეუძლია მისი შესწავლა.

პირველდაწყებითი სწავლა უნდა იყოს რეალური და არა სქოლასტური.

წიგნების კითხვა კი არა, უმთავრესად პირდაპირი დაკვირვება და ცდა უნდა ედვას საფუძვლად.

ეს კი შეიძლება მხოლოდ დედაენის საშვალებით.

არ ვიცი, დამტკიცდება თუ არა ოდესმე კანონპროექტი კერძო შკოლებში დედაენაზე სწავლის შესახებ.

და თუ ოდესმე დამტკიცდა, მაშინ ძირიანათ უნდა შევსცვალოთ პირველდაწყებითი სწავლის ჩვენში არსებული სისტემა.

არაფერ ხარჯსა და შრომას არ უნდა მოერიდოს ქართველი საზოგადოება, რომ მოფინოს სოფლად მთელი ქსელი ახალი ტიპის შკოლებისა, სადაც სწავლა დედაენაზე და რეალურ ნიადაგზე იქნება დაფუძნებული.

და მხოლოდ მაშინ ამაღლდება ქართველი ერის სიმდიდრე, კულტურა და განათლება.

**ისარი.**

## ქართული პრესა.

„განთიადი" კვლავ ხალხთან გვაბეზღებს, გაიგეთ—ფედერალისტები შეურაცხყოფას გაყენებენო:—

„ყოველთვის, როცა ხალხი ფედერალისტებს უნდობლობას უცხადებს, ისინი გამოდგებიან და შეუგნებელ ბრბოს უწოდებენ.

არსად, არც ერთ ქვეყანაში ოდნავ რიგიანი ჯგუფი მუშებს და საზოგადოთ დემოკრატიას ისე უდიერათ არ ექცევა, როგორც ჩვენი ფედერალისტები. მაგალითად, რუსეთში მუშები დიდი უარყოფით უცქერიან ლიბერალებს, მეტად მკაცრი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ' მათ მოღვაწეობას, მარა ეს ლიბერალები იმდენათ ხეპრენი არ არიან, რომ ამის გამო ტალახში ამოსვარონ მუშები. პირიქით, ისინი აღიარებენ, რომ მათი მოძრაობა და მოქმედება დიდი ღირებულების საზოგადოებრივი მოვლენაა, რომ მუშები კულტურის და წინსვლის მომასწავებელი არიან" და სხვა.

ხალხის არა მკითხე ვექილობა განთიადლებს სენათ სჭირთ. ჩვენ დღე მუდამ იმას ვამტკიცებთ, რომ „ხალხს" ტყუილათ ამოფარებიან, მათის სახელით ყალბათ სარგებლობენ, მათი ხალხის ვექილობის ფურცელი ყალბია. მიგიხვდით, არ გაგივიდათ ეს კომბინაცია და აღარ დაეხსნებით?

თქვენ გნებავთ, რომ თქვენი ამყოლ დამყოლი ხალხათ გაასაღოთ. ეს შესაძლო იყო, თუ კი ამ ხალხს ვერ შეგიტყობდით. ახლა, რაკი თქვენი „ხალხის" ფასი ყველამ იცის, სჯობს დაწყნარდეთ თქვენი ხუთი წლის პროტენსტანტები და წერაკითხვის უცოდინარი ბრბო რომ ქართველ ხალხს შეადგენდეს, მაშინ ხომ დაღუპული იქნებოდა მთელი საქართველო!.

რაც შეეხება ჩვენებურ ბაყალ-მედუქნე, ანუ ნოქართა „პროლეტარიატის" რუსეთისა ან საზღვარგარეთის მუშებთან დადარებას, უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენი „შეგნებულები" ისე გავან იმათ, როგორც კატა—ლომს.

რუსეთის, განსაკუთრებით პეტერბურგის მუშათა მასა მართლაც ერთადერთი ცოცხალი, ფხიზელი, მამოძრავი ელემენტია; ის რეალურ ძალას წარმოადგენს, რომელსაც ამა ქვეყნის ძლიერნი ანგარიშს უწევენ. მათი ბრძოლა სამაგალითოა და ვინც რუსეთის მომავალს იმედით შესცქერის, არ შეიძლება პატივისცემით არ მოიხსენიოს ასეთი საზოგადოების მოწინავე მებრძოლი ძალა.

თქვენი მეპროტესტენი კი... მაგრამ ღირს მათზე ლაპარაკი! იქ, სადაც პეტერბურგის მართლა და საგმირო საქმეებს ვიხსენიებთ. თქვენ, ბატონებო, მარტო პროტესტების წერა შეგიძლიათ და ამიტომ ნურას უკაცრავათ თუ, იმ მებრძოლი ხალხის გვერდით ვერ დაგასკუპოთ და გუნდრუკი ვერ გიკმიოთ.

„განთიადი" სწერს:

„დარბაისელი სიტყვა-პასუხის მქონე „იმერეთი" ასე მოგვმართავს:

„სინიდისიც კარგი საქონელია, ბ. განთიადლებო, ნეტავ რას როშავთ"?

ჩვენ რომ გონება წართმეულ ხალხთან არ გვქონდეს საქმე, „იმერეთს" ვეტყოდით: აი, ბატონებო აიღეთ ქუთაისისა და თფილისის გუბერნიის არჩევნები და სთქვით, ვისი მომხრეები გავიდენ თავად-აზნაურთა კურიაში, რომელი პარტიის კანდიდატებს უჩხრიალებდენ ისინი თეთრ კენჭებს".

როგორც ჩანს განთიადლებს კარგათ შეუსწავლიათ ანდაზა—გალმა შეედავე და გამოღმა შეგრჩებაო.—აფსუს, ვინ გვასწავლის ლიტერატურულ ზდილობას!

„განთიადლებს" რომ მართლა გონება არ ქონდეთ არეული, ჩვენ ვეტყოდით: აი, ბატონებო! აიღეთ ქუთაისის და თფილისის არჩევნები მარტო კი არა, მთელი ეს ოთხი საარჩევნო კამპანია და ნათლად დაინახავთ, თუ რამდენ სომხის ბურჟუას უარუყვია თვისი კლასიური ინტერესები და შეუთვისებია „პროლეტარიატის თვალსაზრისი".

ან კიდევ რამდენი ცენზოსანი თავადი მიმხროპია „ერთადერთს მუშათა პარტიას".

## ახალი ამბავი.

✦ იმ დეპუტატთაგან, რომელიც ზუგდიდელებმა ოლდენბურგის პრინცთან გაგზავნეს რკინის გზის თაობაზე შუამდგომლობისათვის, დეპეში მოსულა პეტერბურგიდან, რომ შავი-ზღვის ნაპირა რკინის გზის მიმართულების თაობაზე ბჭობა ამ გზის გამგეობას პეტერბურგში ოკტომბერში ექნებაო. ჰამბურგს წასვლა საჭიროთ აღარ ვსცანით, რადგან პრინცი ოლდენბურგისა მალე ჩამოვა გაგრასო.

დეპუტაცია ამ დღეებში დაბრუნდება ზუგდიდსო.

✦ ქალთა უმაღლეს კურსებს თფილისში 1909-10 წწ. ყოლია 212 მსმენელი, 1910-11 წწ. —257, 1911-1912 წწ. 313. ამ უკანასკნელ წელს კურსებზე დახარჯულა 51,116 მან, მიუხედავათ თანაგრძნობისა და შეწირულობის, კურსები მაინც გაჭივრებულ მდგომარეობაშიაო,

✦ დ. ონში 15 ივლისს საგანგებო კრება შესდგა შამშე (სიმონ) ლეჟავას თაოსნობით. კრებას უნდა განეხილა წესდება და ამოერჩია კომისია „შოვის" სანატორიუმის დაარსებისა და ადგილის გამოძებნის შესახებ. კრების მიერ ამორჩეულმა კომისიამ სანატორიუმისთვის საუკეთესო ადგილათ სცნო „შოვი", რომელიც მდებარეობს სამხედრო ოსეთის გზის მარცხნით სოფელი გლოლადან სამი ვერსის მანძილზე. მთელ ცნობას მომავალი „შოვის სანატორიუმის" შესახებ, გაზეთის შემდეგ ნუმერში მოვათავსებთ.

✦ 13 აგვისტოს საღამოს ქუთაისის სადგურზე, სადაც ტყიბულის გზა იწყება, ტვირთავდენ ხრეშით ვაგონებს. ვაგონებში დაქანდა და გზაზე სხვა ვაგონებს დაეჯახა, რის გამოც ათი ვაგონი სულერთიანათ დაიმსხვრა; ადამიანი არ დაშავებულა.

## დღიური.

დიდმა სახელმწიფოებმა სტამბოლში თავის ელჩებს აცნობეს: წინადადება მიეცით ოსმალეთს, რომ მდინარე მარიცას მარჯვენა მხარე გასწმინდოსო.

— სიჩუონედან (ჩინეთი) სამხრეთლებმა ჩრდილოეთლები გარეკეს.

— საბერძნეთის მეფე დასავლეთ ევროპას მიემგზავრება.

— მაკედონელ ბულგართა დელეგაცია ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრს წარუდგა.

— პეტერბურგში [illegible] ში [illegible].

— რუსეთმა [illegible] კრედიტი [illegible] ოსმალეთს [illegible] ლეთი სომხეთში რეფორმების განხორციელებაზე არ იზრუნებს.

— ლონდონში 5 ათასმა მღებავ[ის] მუშამ გაფიცვა გამოაცხადა.

✦ ქუთაისის ოლქის სასამართლომ 13 აგვისტოს ზაქარია კურტანიძისა და დანიელ ზარნაძის საქმე გაარჩია; რომელთაც 1912 წ. 19 ივანობისთვეს ლამით შეიარაღებულ თავდასხმასა და ფულების წართმევას აბრალებდა სოფ. სვირში ალექ. ცხადაძეზე. ცხადაძეს ჩვენების დროს ეშლებოდა, თუ რამდენი ფული წაართვეს. ამ საქმეზე 30 მოწმე იყო გამოწვეული, რომელთაც ბრალდებულების სასარგებლოთ აჩვენეს; ბრალმდებელმაც უარი განაცხადა ბრალდებაზე. სასამართლომ უდანაშაულოთ იცნო კურტანიძე და ზარნაძე.

✦ გაირჩა სპირიდონ თორთლაძის საქმე, რომელმაც წინასწარი განზრახვით დანით დასჭრა და მოკლა არტემ თავზაროვი—1912 წ. 12 გიორგობისთვეს. სასამართლომ დამნაშავეთ იცნო თორთლაძე და გადაუწყვიტა ორი წელიწადი და ოთხი 'თვე გამასწორებელი რაზმი. გადახდეს მას მოკლულის მშობლების სასარგებლოთ თვეში ოცდა ხუთი მანეთი, სანამ ცოცხალი იქნება მოკლულის დედა და ხუთი თუმანიც მოკლულის დასამარხი ხარჯი.

### მოწერილი ამბავი.

**ს. ნასაჯუ** (ოდიში) ეს სოფელი ფოცხოს საზოგადოებას ეკუთნის. კულტურული მხრით ძლიერ ჩამორჩენილია. გარდა ერთკლასიანი სოფლის შკოლისა არავითარი კულტურული დაწესებულება არ მოიპოება. ბიბლიოთეკა-სამკითხველოზე ხომ წარმოდგენაც არ აქვთ აქაურ მცხოვრებლებს. ხალხი მხიარულობას მისდევს და ხშირათ მაღლობ გორაკებზე ცეკვა-თამაში იმართება. მოსავალს კარგი პირი უჩანდა რომ უკანასკნელი კვირის სიცხეებს არ გაეფუჭებია. ინტელიგენტთა რიცხვი ამ საზოგადოებაში არ მოიძებნება, რომ იზრუნოს რაიმე კულტურული დაწესებულების დაარსებაზე და ხალხის განვითარებაზე. ვინ იცის, როდემდის იქნება სოფ. ნასაჯუ კულტურ[უ]ლათ დაქვეითებული.

**დ. ჩოხატაური,** (გურია). 5 აგვისტ[ოს] შესდგა დამფუძნებელი კრება მომხმარ[ე]ბელი საზოგადოების „ეკონომია"-[ს] საზოგადოებაში უკვე ჩაწერილია 60 [წ]ევრი, რომელთაგან გამოცხადდა 2[...] კრებას უნდა განეხილა დამაარსებელთ[ა]გან წარმოდგენილი საკითხი გამგეობ[ის] და სარევიზიო კომისიის წევრების არჩ[ე]ვისა. კრებამ დაადგინა: ამოირჩიონ [ა]თო კაცი ყველა სოფლიდან წევრებ[ად] შესაძენათ, ხოლო დროებით ამოირჩ[ა] 11 გამგეობის წევრი და სამიც სარე[ვი]ზიო კომისიისა. კრებამ პლატონ ლე[ჟა]ვას წინადადება: „საზოგადოება ჩაე[წე]როს მოსკოვის მომხმარებელ საზოგადო[ებ]ებათა კავშირში და ქართულ საკოოპერა[]ციო ბიუროში" —მიიღო და სურვილ[ი] გამოსთქვა საწევრო და საპაე ფუ[ლ]ი ჯერ ქართულ საკოოპერაციო ბიურო[ში] შეიტანოს და შემდეგ მოსკოვის კასაში.

საპაე ფულის გადახდის შესახ[ებ] კრებამ დაადგინა: ფულის გადახდა, ნ[ა]წილნაწილათ განსაზღვრა დაევალოს გა[მ]გეობას. კამათი გამოიწვია საპაე ფუ[]ლის სიდიდემ (პაი ღირს 10, შესასვლე[]ლი 1 მ.), კრებამ ეს საკითხი გასარჩევა[თ] შემდეგისთვის გადასდვა. კრებამ დაავა[ლა] გამგეობას გამართოს ხოლმე უფასო ლე[ქ]ციების კითხვა კოოპერაციაზე.

## პროტესტების ღირებულობა.

„თანამედროვე ქვეყნის" უკანასკნე[ლ] ნუმერში მოთავსებულია „პროტესტ[ი]" ქუთაისიდან, რაც სხვებთან ერთად ხე[ლ] მოწერილია ლუკა შაქარიშვილი. უნ[და] ვაუწყო მკითხველ საზოგადოებას, რო[მ] ეს ლუკა შაქრიშვილი მე ვარ და თუ[] ცა მე მომართეს ხელი მომეწერა [] პროტესტზე, მაგრამ ჩემგან ვარი მიიღ[ეს] და ძალიან მიკვირს,—საიდან მო[]

## ბუნების წიაღზე.

**გაკვრით ფიქრები და შთაბეჭდილებანი.**

(გაგძ. იხ. „იმერეთი"-ს 123 №-ი).

ტყიბულის ქვანახშირის წარმოებას რალაც თავიდანვე დასჩემდა მწარე ხვედრი. არ იქნა მის წარმოებას არაფერი ეშველა აქამდი. ერთადერთი მწარმოებელია ახლა საზოგადოება „ნახშირა", რომელიც გამგე ინჟინერის სიტყვით, მხოლოდ ეს ორი-სამი წელიწადია, რაც არ ზარალობს.—მხოლოდ დღესდღეობით დავდექით ფეხზე იმდენათ, რომ ხარჯებს ვფარავთ, მიუხედავათ იმისა, რომ გაზიდული ქვის რაოდენობას თითქმის ყოველწლივ ემატება ხან ასი, ხან ორას ათას ფუთამდი.

გასულ წელს ამ საზოგადოებას თითქმის 4 ნახევარ მილიონი ფუთი გაუყიდია. უმთავრესათ საზოგადოება აწოდებს ქვანახშირს ამიერკავკასიის რკინის გზასა. შ შემდეგ ქალაქებს ბაქოს, თფილისს ბათომი და სხ. ასაღებენ, და მაშასადამე, ქვანახშირის ბაზარი ადგილობრივი მოხმარებით განისაზღვრება. ზაფხულში მეტი გადის ფხვნილი, ხოლო ზამთარში სხვილი ქვანახშირი.

საზოგადოებას შეადგენს რამდენიმე თფილისელი სომეხი კაპიტალისტი და მათ შორის მთავარი აქციონერი ბ. მელიქ-აზარიანცია. „ნახშირას" აქციები იმდენათ დაბლა ფასობს, რომ მათ ბირჟაზე არც კი არავინ იხსენიებს. ასე გასინჯეთ, ახლანდელმა გამგემ ინჟინერმა არც კი იცოდა მათი დღევანდელი ფასი ალბათ იმიტომ, რომ ეს ამ ჟამათ არავის აინტერესებს, მიუხედავათ იმისა, რომ მან დაწვრილებით იცის ყოველი დეტალი მის მიერ წარმოებული საქმისა.

როგორც გადმომცეს, ამ ორი-სამი კვირის წინათ საზოგადოება „ნახშირას" სამინისტროდან ნებართვა მოსვლია სახელმწიფო მადნიანი ადგილების იჯარით აღებაზე. ამ მოკლე ხანში ამ ადგილების დამუშავებასაც აპირობენ, ამ სახით საქმე ერთობ ნელის ნაბიჯით, მაგრამ მაინც ფართოვდება და უმჯობესდება.

მიუხედავათ ამისაი სისტემატიურ ზარალს წარსულში იმდენათ თავი მოუბეზრებია ახლანდელ წარმოების ბატონპატრონებისთვის, რომ ეს უკანასკნელნი ეძებენ თურმე პირველ მარჯვე შემთხვევას, რათა მთელი წარმოება ვინმე უცხო კაპიტალისტებს გადასცენ. დიდიხანი არ არის მას აქით, რაც აქ ფრანგკაპიტალისტებთა ერთი დიდი კამპანიის წარმომადგენელი ჩამოსულა, რომელსაც, საქმის ყოველ მხრით შესწავლას შემდეგ თავის რწმუნებული კომპანიისთვის შესყიდვის აზრი წარუდგენია. ვნახოთ, რით გათავდება ეს ცდა და გამოვა თუ არა ტყიბულის არც ისე ახალგაზდა წარმოება თავის თითქმის პირვანდელ მდგომარეობიდან.

ახლანდელი გამგე ინჟინერი ერთობ თავაზიანი, სტუმართმოყვარე მასპინძელი გამოდგა. სხვათა შორის ვახშამზე მიგვიწვია. ბევრი რამ საგულისხმო ვისაუბრეთ: რუსეთის შინაურ პოლიტიკაზე, სწავლა-განათლების მდგომარეობაზე ჩვენში, მუშებზე და სხ. „თქვენ პროფესიონალური, ტეხნიკური, სამეურნეო განათლება გჭირიათ, გვიმტკიცებდა ჩვენი მასპინძელი, თქვენ კი თქვენ შვილებს თითქმის მარტო კლასიკურ განათლებას აძლევთო".—„ჩვენში კლასიკურ გიმნაზიებში შვილების მიცემა რაღაც სენათ გადიქცა-თქო, ვუხსნიდი ჩვენს მოსაუბრეს. რაღაც განსაკუთრებული ლტოლვა არის-მეთქი ამ გიმნაზიებისადმი ჩვენ ქვეყანაში. ჩვენი საზოგადოების თვალში მთავრობის ასეთი გიმნაზიები რომ რაღაც დიდი უპირატესობით სარგებლობენ, ამის საარგუმენტაციოთ ისიც კი ვუამბე, რაც მშვენიერათ ახასიათებს ჩვენი ხალხის განწყობილებას ამ ტიპის სასწავლებლისადმი: სხვა სასწავლებლებიდან გასანსხვავებლათ ჩვენი ხალხი ამ სასწავლებელს „დიდ" გიმნაზიას ეძახის მეთქი და მის კლასებს "კაი" კლასებს-თქო.

ჰო და, რა ბედნიერათ გრძნობს თავის თავს ბევრი შეგნებული მშრომელიც კი, თუ ამ „დიდ" გიმნაზიაში შვილს თავი შეარგვევია! მე არა ერთჯერ მიცდია დამეჯერებია მშობელი ასეთი გიმნაზიიდან დროით გამოეყვანათ შვილი, რომელსაც არც კლასიციზმი ემარჯვებოდა და ვერც ამ სასწავლებლის რეჟიმს შერიგებოდა, და რაიმე პრაკტიკული ცოდნა მიეცა მისთვის, რაც თუ ქვეყნისა და მისი პირადი ინტერესებისათვის უფრო უპრიანი და სასარგებლო იქნებოდა,—მაგრამ ჩემ ცდას ყოველთვის ამაოდ ჩაუვლია, ამაში მე ვერვინ დავარწმუნე. ჩვენი საზოგადოების შეუგნებელი, უაღრესათ ფეოდალურ ბურჟუაზიული ნაწილი ჯვარ-ტემლაკში და ფორმაში სულს გაყიდის, და თქვენ გნებავთ ამის შემდეგ მათ ფსიხოლოგიაზე რაიმე არგუმენტაციით იმოქმედოთ!

მაღარო ების დათვალიერებას შემდეგ მუშათა ყოფა-მდგომარეობა, მათი ავკარგი გამოვიკითხე.

აქ მომუშავეთა რიცხვი რვაასამდი ადის, დიდ უმრავლესობას იმერლობაოკრიბლები შეადგენენ. მუშათა შორის საკმაოდ ბევრია თართებიც. „ოკრიბელები ყველაფრით კარგი ხალხია, გვეუბნებოდა ჩვენი მასპინძელი, მაგრამ ერთობ ზარმაცები არიანო; წარამარა დღესასწაულობენ და უქმობენო". ამის წინააღმდეგ აბა რა მეთქმოდა გარდა იმისა, რომ ამ მხრივ ღვთის წინაშე, რუსებიც კარგათ გვეცილებიან მეთქი.

მუშის დღიური ხელფასი აქ ოთხი აბაზიდან ოთხ აბაზ ნახევრ. ადის. უფრო მაღალი კატეგორიის მუშები მანეთ ნახევარ—ორ მანეთამდი იღებენ. მუშა-მოზარდებს მხოლოდ ერთ ადგილას შეხვდებით—ქარხანაში, სადაც მექანიკურის საშვალებით ქვანახშირს არჩევენ ზომის მიხედვით. ქალები არსად მუშაობენ.

აქაურ მუშათა საზდო ერთობ მცირე და ერთგვარია, ნამეტურ თუ სახეში მივიღებთ იმ მძიმე მუშაობას, რომელსაც ისინი ეწევიან. პური და ამოლესილი ლობიო—აი ქართველი მუშის სადილვახშამი, დღეყოველ, მარხვა და ხსნილში. ლობიოს გასაკეთებლათ ორ სამ ადგილას სამზარეულოა გამართული, სადაც საერთოთ დაქირავებული მზარეული მხოლოდ იმას აკეთებს, რომ დროგამოშვებით პატარა სუთივით გაკეთებულ ჯოხით ლობიოს ურევს. ერთ ასეთ სამზარეულოში შევიხედე—ქურაზე ორმოციოდე პაწია ლობიოს ქოთანი გაემწკრივებიათ.

— აქ ქართველი მუშა რამდენიმე ასია,—შევეკითხე იქვე მდგომ მუშას.— და ეს ორმოციოდე ქოთანი აბა ყველას როგორ ეყოფა?

— ზოგი იმზადებს და ზოგს კი ლობიო ყოველ იჯრაზე არ აქვს,—მიპასუხა მან.

— ხორცეულის ჭამას აბა, რა თქმა უნდა, ვერას დროს ვერ შეიძლებენ,— კვლავ მივმართე მას.

— როგორ არა, ბატონო, ხორცის ჭამაც შეუძლიათ,—მიპასუხა მან ასე იმიტომ, რომ ჩემი შეკითხვა ისე გაიგო, ვითომც მე ეჭვი შემეტანოს იმაში, რომ მუშა ხორცის ჭამას ვერ მოახერხებს, რომ ქონდეს კიდეც. შემდეგ კი გამოირკვა, რომ ქართველ მუშას მუშაობაში ხორცი არას დროს არა ქონია. თათრებიც კი თურმე უკეთსაზდოობენ—მათ тепи-ში ხორციელი კერძი იშვიათი არ ყოფილა.

ყოველნაირი სანოვაგე მუშებს ნისიათ იქვე მაღაროებში არსებული საერთო [მა]ღაზიიდან გამოაქვთ განსაზღვრული ნ[ო]რით, ხოლო სხვებს არა მუშებს იქ რა[]მე ყიდვა არ შეუძლიათ. აქ არ მოიპო[ე]ბა მხოლოდ მაგარი სასმელები, რომე[ლ]თა მუშებზე გაყიდვა თურმე ეს რამდენ[ი]მე წელიწადია აკრძალა ქვანახშირის მწა[რ]მოებელმა ადმინისტრაციამ, რადგან ლო[]თობა და სკანდალები ერთობ ხშირ[ი] იყო.

დღიურ ხარჯს რომ გამოვიდეთ, ქვ[ა]ნახშირში მომუშავეს ძლივს ათ—თე[რ]თმეტი შაური რჩება იმ აუტანელ ა[]ადამიანური შრომის შედეგათ, რომელს[აც] იგი დღეყოველ, მონურის მორჩილებ[ით] ქედმოხრილი ეწევა, ხშირად თვით ს[ი]ცოცხლის დიდი რისკით: გადმომცე[ს] რომ აქაურ მუშებს რიგრიგობით თვე[]ცეცხლმოდებული ადგილების ახლო უ[]დებათ მუშაობა, ხოლო აქ მუშაობა ი[მ]დენათ ძნელი, მძიმე ყოფილა, რომ ვერ[] ერთი მუშა ხუთ წუთზე მეტს ვე[რ] სძლ-ბს ასეთ სამუშაოზე. მაღაროებ[ში] ღამითაც მუშაობენ: საღამოს ექვს საათ[ი]დან დაწყებული დილის ექვს საათამდ[ე] და ამისთვის ხელფასი 25 პროცენტ[ით] მეტია, ვიდრე დღით მუშაობისთვის.

დაშავებული და ავათმყოფ მუშებისათვ[ის] საზოგადოებას „ნახშირას" ერთი რაღ[აც] პატარა, მეტად უხერხული, მოუწყობე[ლი] შენობა აქვს, რომელსაც აქ საავადმყ[ო]ფოს ეძახიან, რომელიც იმდენათ ვერ [ას]რულებს თავის დანიშნულებას, რომ ცოტ[ა] თუ მეტათ მძიმე ავათმყოფს აქიდან მუდ[ამ] ქუთაისს აგზავნიან. საავადმყოფოს მხო[]ლოდ ერთი მუდმივი ფერშალი ყავს, ხო[]ლო აქიმი ქუთაისიდან ამოდის კვირაშ[ი] ერთჯერ.

რაც შეეხება გონებრივი განვითარებ[ის] მხარეს, ეს ამოდენა მუშა ხალხი სრულ[ი]ად მოკლებულია ყოველს გონებრ[ივ] საზდოს: არც შკოლა, არც წიგნ[]

...ი სახელი და გვარი. მე იმხანებში ...ჯას წასვლას ვაპირებდი და ალბათ იმ ...დით, რომ სიას შევავსებთ და მეც ...რ გავიგებდი, მოაწერეს ჩემი სახელ-...არი. ვაცხადებ ამას საჯაროთა და მას-...ან ალვიარებ, რომ მე ყველგანა და ...ველთვის ვგმობდი იმ ვაჟ-ბატონების ...ციელს, რომელთაც თავიანთი მო-...რების გასამტკიცებლათ უარყვეს ჩვე-...ი წარსული და მათი გავლენით—ხელი ...ხეს ჩვენს წმიდათა წმიდას—ილიას.

ქუთაისში, (რიონ გაღმა) მცხოვრები მედავითნე ლუკა შაქარიშვილი.

## აზნაურის წერილი.

...ამ წერილში ჩვენ გვინდა შევეხოთ ქუ-...ისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კორ-...რაციის ახლანდელ მდგომარეობას.

...არც ერთი თვითმართველობითი დაწე-...ბულება, არც ერთი წრე, არც ერთი ...უფი, არც ერთი ორგანიზაცია, თანა-...როვე კანონის ფარგლებში მოქმე-...ი, უმაღლეს პირთა და მართველ წრე-...ბრით არ სარგებლობს იმდენი პატი-...ით, იმდენი ყურადღებითა და უფლებით, ...როგორც რუსეთში რუსეთის თავად-აზ-...აურობა.

...ყოველს წრესა და ორგანიზაციას აქვს ...ისი საზოგადოებრივი, სახელმწიფოებ-...ივი, კულტურული და სხვაგვარი მნიშვ-...ლობა. მაგრამ თავად-აზნაურთა ორ-...ანიზაცია-კი მთავრობისა და მისი უფ-...ების დარაჯთა თვალში დიდი უპირა-...ობისა და ღირსების მქონეა. ასე უყუ-...ებს მას მართველთა წრე, ასე უყურებს ...ს თვით უზენაესი ბძანებელი რუსე-...ისა.

თავად აზნაურობასა და მის წინამძღოლს ...ლება ეძლევა საჭიროების დროს პირ-...პირ მიმართოს მეფეს და მის წინაშე ...აროს ის სურვილი და აზრი ამა თუ ...ამ საზოგადო ან სახელმწიფო საქმე-...ა შესახებ, რაც საჭიროთ მიაჩნია ...თავად-აზნაურობას. ყოველი მოხელე—...ნისტრიდან დაწყებული უკანასკნელი ...ზრის უფროსამდი ვალად ხდის თავის ...ავს შესაფერი პატივისცემით და ღირ-...ეული ლმობიერებით მოისმინოს ყოვე-...ი სიტყვა თავად-აზნაურთა და მათ წი-...ამძღოლთა და ანგარიში გაუწიოს მას.

თვითონ თავად-აზნაურობა, წოდებრივ ...რადიციებზე დამყარებული, გრძნობს ...ავის უპირატესობას არსებული კანონი-...ა და პირობათა მიერ მინიჭებულს, და ...უდამ რაინდული ღირსებითა და მის ...დგომარეობის შესაფერი პოპულიარობით ...ჰფრავს თავი, თავისი პრესტიჟი.

ხოლო თუ ოფიციალური რუსეთის ამ „ბრწყინვალე“ ორგანიზმის რომელიმე ნაწილმა ვერ შესძლო თავისი თავისა და თავისი უპირატესობისა და პრესტიჟის იმ ნაირად დაცვა, ვერ შესძლო ისე თავის დაჭერა, როგორც ამას მოითხოვს თვით თავად-აზნაურული ტრადიცია, ის ნელ-ნელა შორდება თავის მოძმე წოდებას და მათსა და უმაღლეს პირთა თვალში კარ-გავს ყოველს მნიშვნელობას, ყოველს პატივს, ეცემა მისი რეპუტაცია.

რას წარმოადგენს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა? არის თუ არა ის იმ-გვარი წევრი თავად-აზნაურობისა, რო-გორიც სხვა გუბერნიის თავად-აზნაურო-ბა; შეუძლია თუ არა მას ისე თამამად, ისე რაინდული სიამაყითა და ნამდვილი „ბრწყინვალე“ წოდებისადმი რუსეთის სახელმწიფოსაგან ალსარებული პატივით და უპირატესობით წარსდგეს იქ, სადაც საჭიროება მოითხოვს და სადაც მას სა-პატიო ადგილი უნდა ეჭიროს? შეუძლია თუ არა მას გაიყვანოს თავისი აზრი? აქვს თუ არა უფლება მართველთა წრის წარ-მომადგენელთ ქუთაისის გუბერნიის თა-ვად-აზნაურთა აზრსა და სიტყვას ყურად-ღება არ მიაქციონ და თითქმის აბუჩა-დაც აიგდონ, როგორც ამას უკვე სჩა-დიან? არის თუ არა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა ღირსი იმ პატივისცე-მისა და ღირსეული ყურადღებისა, რო-მელიც თვით რუსეთის სახლმწიფოებრი-ვი ტრადიციებით მას უნდა ეკუთნოდეს?

თამამად შეგვიძლია ვსთქვათ—არა, არა და არა. ქუთაისის გუბერნიის თავად-აზ-ნაურობა ამჟამად ღირსება ახდილათ, გზა-კვალ აბნეულათ, გონება და თავმო-ყვარეობითი გრძნობა დაჩლუნგებულათ, დამარხულათ უნდა ჩაითვალოს.

თანამედროვე პირობათა და კანონთა ფარგლებში ერობის, სხვადასხვა თვით-მართველობას და კულტურული უფლებას მოკლებული ქვეყნისთვის ამ ვიწრო წო-დებრივს, მაგრამ დიდ უფლებიან თვით-მართველობითი ორგანიზაციას შეეძლო ცოტა მაინც სამსახური გაეწია საზოგადო ხასიათისა და ეროვნული სახის საქმეთა-თვის, რომ წევრნი ამ წოდებისა ზოგი-ერთი მუდამ თავისი ვიწრო საპირადო ანგარიშებით მოხელმძღვანელზე ავანტი-ურისტთა სათამაშო ბურთად და ყუ-მოჭრილ მონათ არ გადაქცეულიყვნენ: არც ერთ ქვეყანაში და რუსეთის სხვა კუთხეშიც არ ხდება, რომ რომელიმე მა-ღალ თანამდებობაში არჩეული პირი და-რჩენილიყოს თავის ადგილზე, თუ მას რამე არა წესიერი საქმის მომქმედათ, ან მონაწილეთ აღიარებდნენ. პატიოსნებისა და თავმოყვარეობის გრძნობათა სიფაქიზე საჭიროა ყოველი ადამიანისათვის, მაგრამ რომელიმე საზოგადო საქმეთა მაღალ თანამდებობაზე არჩეული კაცი, რომ ამას მოკლებულ იყოს, ეს ძალიან იშვიათი მოვლენაა.

ორი-სამი თვის წინათ ინგლისის მთავ-რობამ ამხანაგობა „მარკონთან“ ტელეგ-რაფის საქმეთა მოსაწყობათ პირობა შეკრა. ხალხში ხმა გავრცელდა, ვითომ ამ ამხანაგობის აქციების დიდი ნაწილი თვით ზოგიერთ მინისტრებს შეეძინოსთ. ეს უბრალო მითქმა-მოთქმა საკმარისი შეიქნა, რომ უცბათ მინისტრთა პრესტი-ჟი დაცემულიყო, და რომ საგანგებოთ დანიშნულ კომისიას ეს საქმე მინისტრთა სასარგებლოთ არ გამოერკვია, სამი მი-ნისტრი სამსახურიდან უნდა გასულიყო. აი, ასეა დაცული კულტურულ ქვეყნებში მაღალ თანამდებობათა ღირსება...

თავად-აზნაურთა წინამძღოლი, რომე-ლიც მთელი წოდების საქმეთა და მოქმე-დებათა სათავეში სდგას, ყველას თვალში, ყველა წრის წარმოდგენით არის საუკე-თესო გამომხატველი მთელი წოდების სულისკვეთებისა, არის საუკეთესო პირი მთელი ჯგუფისა, საიდანაც ის არჩეულია; მისი პიროვნებით ხასიათდება მთელი პი-როვნება თავად-აზნაურებისა.

რას უნდა წარმოადგენდეს ის თავად-აზნაურობა, რომელთა არჩეული წინა-მძღოლებიც ერთმანეთს რუსული გაზეთის ფურცლებზე ქურდს, ავაზაკს, მექრთამეს, მაბეზღარსა და შანტაჟისტს უწოდებენ და ეს ინციდენტი, რომელიც სხვაგან დიდს აშფოთებასა და ცვლილებას გამო-იწვევდა, უხმოთ, უპროტესტოთ რჩება.

რას წარმოადგენს ის თავად-აზნაურობა, რომელიც ირჩევს მარშალთ წინაწლით გაშავებულ კაცს, იმიტომ, რომ ის მეორე სამარშლო კაცთან რაღაც კომბინაციებით არის შეკრული და როდესაც ის ამ კომ-ბინაციებს არ ასრულებს, მხოლოდ მაშინ თითქმის ყველა ამომრჩეველი ეუბნება —შენ ჩვენ წარმომადგენლათ არ ვარ-გიხარო.

რას წარმოადგენს ის თავად-აზნაურობა, რომლის მარშალიც ადგილობრივ მთავ-რობას სთხოვს ჩვენს საკრებულოში რე-ვიზია მოახდინეო; იმ საკრებულოში, რომ-ლის რევიზია მარტო სენატს შეუ-ძლია...

ნუთუ არ არიან დასავლეთ საქარ-თველოს თავად აზნაურთა წრეში იმის-თანა პირები, რომელნიც სწავლით, ჭკუით, სინიდისითა და პატიოსნებით, სა-ქმიანობის უნარით, ცოდნითა და ქონე-ბითაც შეეფერებოდენ სამარშლო თანა-მდებობას; რომელსაც შეეძლოს თავისი დიდი უფლებები ქვეყნის კეთილი საქმის-თვის გამოეყენებიოს?

ამისთანა პირები არიან, მაგრამ მათი არჩევა არ უნდათ, რადგან ამომრჩევლ-თა უმრავლესობა ბრმათ მისდევს ავან-ტიურისტებს, რომელთაც მათი საქმე სიკვდილის კარამდი მიიყვანეს.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურო-ბა არ არსებობს... იგი დამარხულია...

ბ. —დ.

## პატარა ფელეტონი

### საპროტესტო წერილები.

**ავლაბარი.** რადგან ამჟამათ ჩვენი ქმრე-ბი შინ არ არიან (სოფლებში წავიდენ პროტესტების მოსაკრეფად) და ამ ხნის განმავლობაში კიდევ გამწვავდა ეს საქმე. ჩვენ ავლაბრელი სუფრაჟისტი ქალები აშფოთებულნი ვართ „შინაურისა“ და „სიტყვას“ წერილებით და პროტესტების ნაცვლად ქოქოლას ვუგზავნით „იმე-რეთსა“ და „სახალხოს“, დეე ყველამ გაი-გოს, რომ ჩვენც შეგვძლებია შურის ძიე-ბა. გვეუბნებიან—პროტესტებს ნულარ სწერთო! თუ ბრძოლაა, ბრძოლა უნდა იყვეს... იიი, მუხი კი დავათხლიშე „ნა-ციონალისტებს“ თავზე!!.

ავლაბრის სუფრაჟისტი ქალები: ჭაა-კანუშა, ვართანუშა, სირანუშა, გეგელა, ფეფელა, თათელა, თაქუა, მარჭრიტა, ხახუა, სონა-ბაჯი, ქაბატუა, ოსანა, ანიჩკა, ასტუიკა, ვარუა, მარუა, შუშა-ნიკა, ხამფერა, (ვინ მოსთვლის!?).

**სად. ტრაპიზონი.** ჩვენ ტრაპიზონის შეგნებული ლაქიები, ლაქიები მესამე კლასის ბუფეტისა მზარეულ-გოგო-ბიჭე-ბით ვუერთდებით ყველა შეგნებულ პრო-ტესტანტებს და გვძულს „იმერეთი“, „სა-ხალხო“ და „კლდე“ (ესეც მიემატა), „თე-მის“ წინაშე კი ბოდიშს ვიხდით, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ვლანძღავ-დით, ეს სულ ლასხიშვილ-გოგიჩაიშვი-ლის ბრალი იყო. ჰოდა, პროტესტს ვუ-ცხადებთ ხსენებულ ორგანოებს, არამც თუ ხსენებულ ორგანოებს, არამედ იმა-თაც, ვინც მათ თანაუგრძნობს,—ყველას დედა-ბუდიანათ: თანამშრომლებს, ასოთ-ამწყობებს, კორექტორს, დამბეჭდავს, დამკეცავს, და წამკითხველებსაც.

ხელს აწერს 4 ცალი ლაქია (დედანი ინახება)

**ცირკი ესიკოვსკებისა.** ჩვენ ძმათა ესიკოვსკების პირველი ხარისხოვანი მსა-ხიობები, მოჯირითენი, ოხუნჯები, ჯამ-ბაზები, მასხრები, ეშმაკები და ცნობილი მოჭიდავენი სასტიკ (ჰმმმ!) გულის ზიზღს ვუცხადებთ, თქვენს წინააღმდეგ თქვე ასეთ ისეთებო, თქვენა გგონიათ მარტო-კა ზიზლი გაკმაროთ... თუ ბიჭები ხართ, გამოდით რაღა... განი! განი! უჰ, თქვე-ნი ფათრეთი კი დაიქცეს!.. თქვენი... (აქ ველარ გავარჩიეთ)

ხელს აწერს: 401 [illegible], 202 [illegible] ხობი, 303 [illegible], 404 [illegible], 505 [illegible], 606 [illegible] (ხელმოწერილი, [illegible] ხება).

**სარაჩხანა.** ჩვენ შეითან-ბაზრის და ბაზაზხანის ყაზახები და დაბლები ჩვენი ოჯა-ხითეპითურთ პროტესტს ვუცხადებთ „იმერეთს“, „სახალხოს“, „კლდესა“ და „თემს“ (უკაცრავად „თემს“ არა!) ეს რამდენია ხანია ვამჩნევთ, რომ ერთი მი-მართულება არაფერს არ ერიდება, რომ ჩვენ მუშების თვალში სახელი გაგვიტე-ხონ!.. მოძრაობის დროიდან რაც რამ სისაძაგლე, ავაზაკობა. პროტესტები, და მკვლელობა მომხდარა სულ ჩვენ—დასე-ლებს—გვაბრალებენ, ჩვენ, ჩვენ და ჩვენ... ახრ, ჩვენ ყაზახები რა შუაში ვართ!

თსკან ჭაირაშეტოვიჩ ბლუტაძე, ხამფე-რა ბლუტაძისა, მიკიჩ წუადობიჩ ჯან-ჯალოვი, ბაბალე ჯანჯალოვისა, მინასა ტიგრანოვიჩ მუტრუკოვი, ანუშკა მუტ-რუკოვისა, შვილები: 3 წლის, 2 წლი-სა, 4 წლის, ნახევარ თვისა, 3 თვი-სა, 9 თვისა. მოყვრები: ბიძაშვილი, დეიდაშვილი, მამიდაშვილი, პაპა, და-დედა, მამიდა, ძალუა, ქვისლები, ძმის წულები, დის წულები და მრავალი სხვა (მენ დათვალე!?).

რადგან ზემო ხსენებულმა პირებმა წერა არ იცოდენ მათი მონდობილობით ხელს ვაწერ მე— ფირუზა.

## დიმ. ჯაშის მოხსენება.

### დ. სამტრედია.

შაბათს, 10 აგვისტოს ადგილობრივ საკრებულო დარბაზში ილიას ნამოწაფე-ვალმა ბ. დიმ. ჯაშმა მოხსენება წაიკითხა ილია ჭავჭავაძის შესახებ.

მოხსენების შესავალში ბ. ჯაშმა აღნიშ-ნა, რომ ის მიუდგომლათ ასწერს ორივე მიმართულების საქციელს ილიას გარშემო ატეხილი განგაშის გამო და წინდაწინ ბოდიში მოიხადა, თუ დამსწრეთაგანი ორი-ვე მიმართულებისა მათვის არა სასიამოვ-ნო რასმე გაიგონებდენ.

მოხსენება მითი დაიწყო, თუ როგორ დაუახლოვდა დიდს ილიას, როგორ მოხვდა მასთან მოურავათ და უარჰყო ის ხმები, ვითომ ილიასთან რომელიმე მი-მართულების საშვალებით დამდგარიყოს.

შემდეგ კვალდაკვალ ახსნა, თუ რო-გორ მომზადდა ნიადაგი ილიას მოკვლი-სა და აღნიშნა, რომ ილია ორი წლით ადრე უნდა მოეკლათ, მაგრამ რაღაც გან-გებით გადარჩაო; და მისი გადარჩენა უსა-თუოდ უნდა მიეწეროს იმას, რომ იმ უკანასკნელ ორ წელს სახ. საბჭოს წევ-რათ იყო და მეტ წილათ პეტერბურგში ცხოვრობდა.

---

...ავ—სამკითხველო და არც სხვა რამ ...ოდნის მიმცემი, და თვით შეგნებისა ...ამავითარებელი აქ არ მოიპოება. და ...რ იმ მკითხოთ, ვიდრე აწინდელი პი-...რობები შრომისა ძირეულათ არ გამოიცვ-...ლება, შესამჩნევ სარგებლობას ასეთი ...აწესებულებანი მუშებს ვერ მოუტანს. ...და არა თუ შესამჩნევს, შეიძლება სრუ-...ლიად უნაყოფო, ნომინალური იყოს მა-...თი არსებობა. სამუშაო დღის ხანგრძლი-...ობას პირდაპირი კავშირი აქვს გონებ-...რივი განვითარების მიმცემ საშუალებებ-...თან. თუ მუშას დრო, ძალღონე და ხა-...ლისი არ ექნა, როგორ შეუძლია მას ...ან სამკითხველოთი, ან სალამოს კურსე-...ბით, ან ამის მზგავს რამით ისარგებლოს? ...ორი-სამი საათის განმავლობაში რომ ...ვუყურებდი მათ მუშაობას, თანდათან ...მეტად და მეტად ვრწმუნდებოდი, რომ ...მუშას, უზომო მუშაობით ქანცმოწყვე-...ტილს, სიცოცხლე-გამწარებულს მუშა-...ობას შემდეგ წიგნისა და გაზეთის კითხ-...ვა არ შეუძლია, დიდი სურვილიც რომ ...ქონდეს ამის.

***

...ერთი დღით შეჩერებას შემდეგ, ტყი-...ბულიდან ნიკორწმინდისაკენ გავეშურეთ, ...სადაც ორი ღამე გავათიეთ.

...ამ შედარებით პატარა მანძილზე იმ-...დენ შთაბეჭდილებას განიცდით, იმდენი ...ახალი სურათი ბუნებისა იშლება თქვენ ...წინ, რომ თითქო გონება, თვალი გელ-...ლებათ კიდეც. უცბათ, მკვეთრათ იცვ-...ლება ბუნება, როგორც კი ნაქერალას ...გადალახავთ და მის თავს მოექცევით. ...რაჭისა და ოკრიბას საზღვარიდან ...გზას ორივე მხრით საკმაოთ დიდ მანძილ-...ზე ბზისა და ფიჭვ-ნაძვის ტყეები შე-...მოტყმიან. მალე მთელ იმერეთში ...ცნობილ თავის დამატყვევებელ სიტურ-...ფე-სილამაზით შაორის ხეობასა აწევთ ...ცივი, მთის წყაროსავით ანკარა პაწია მდინარით, რომელიც შესანიშნა-ვია გემრიელი კალმახებითა ⁊ უფრო კი იმით, რომ ერთ მშვენიერ ალაგს, ნიკორ-წმინდის დასაწყისისას, ის უცბად ისპობა, იმალება ქვესკნელში, მთის ქვეშ, და ჰელიშის მონასტერთან კვლავ უბრუნ-დება მზის სინათლეს, კვლავ ეზიარება სიცოცხლეს ეს იშვიათი მოვლენა, ეს თითქო საიდუმლოება ბუნებისა, რაიც აქაური ნიადაგით აიხსნება, ეჭვებს ჰგვრის ბევრს და დასარწმუნებლათ ჩაყრიან თურმე წყალში იქ, სადაც მდინარე ქრე-ბა, ბზეს ან ჩალას, და ამ უკანასკნელს ნახულობენ იქ, სადაც მდინარე კვლავ ჩნდება.

აგერ ნიკორწმინდაშიც შევედით, რო-მელიც თავის წარმტაც სილამაზითა, მა-ღალის მდებარეობით, ტყე-ნაძვნარით, შორს მუდმივი თოვლით მოსილ კავკა-სიონის მთებითა და მისი კალთებით, ერთ იშვიათ სოფელს წარმოადგენს თვით რაჭაშიც კი, სადაც თითქმის ყოველი კუთხე, ბუნებისა სიუხვითაა განთქმული. მშვენიერია ნიკორწმინდა დილას, მშვენიე-რია იგი სალამოს, ნამეტურ იმ დროს, როდესაც განაპირას მდებარე მყუდრო პატარა ტბას და სოფლის არემარეს მთვარის შუქი დაკრავს. სალამოობით ხშირათ ნიკორწმინდის მთებს, ვით და-პენტილი ბამბის ზოლი, შორიდან წამო-სული ნისლი ეფინება. „⁊ ეს ჩვენი ბარომე-ტრია, მითხრა ჩვენმა მასპინძელმა—შაო-რის ნისლი თუ გვეწვია, ეს დარის ნიშა-ნიაო“.

ნიკორწმინდა მშვენიერი სამკურნალო ადგილია, სადაც ცხოვრებით დაქანცულთ შრომითა და სილარიბით დამაშვრალთ შეუძლიათ სული მოიბრუნონ, ჯანმრთე-ლობა დაიბრუნონ. მეტსაც ვიტყვი—ჩინებული სასანატორიუმო ადგილია, სა-დაც ადამიანს დიდის წარმატებით შეუ-ძლია ებრძოლოს კაცობრიობის ერთ უდიდეს ბოროტებას — ჭლექს. მაგრამ განა მარტო ნიკორწმინდაა შესაფერი ადგილი ტუბერკულოზით დაავადებულ-თათვის? თამამად შემიძლია ვსთქვა, რომ რაჭაში აბასტუმნის მაგიერობას ადვილათ გასწევს არა ერთი ალაგი.

ნიკორწმინდას ბუნების ერთი საკვირ-ველებაც ვნახეთ. ეს გახლავთ სოფლი-დან ორი ვერსის მანძილზე მდებარე უზარმაზარი მღვიმე კლდეში. უკანასკნელ დრომდი ამ მღვიმის ძირი ზამთარ-ზაფ-ხულ ყინულით ყოფილა დაფარული. სიგძე-სიგანე და სიმაღლე მღვიმისა იმ ზომისაა, რომ შიგ ერთი დიდი ტაძარი ადვილათ მოთავსდება. ტემპერატურა აქ იმდენათ დაბალია, რომ როგორც კი მღვიმეს სტოვებთ, გარეთ ჰაერი დანთე-ბული ცეცხლის სითბოთ გეჩვენებათ. ამ მღვიმეს რომ ვათვალიერებდით, მყის-ვე ევროპიელი მომაგონდა. რამდენაირათ არ გამოიყენებდა იგი მას! ან რესტორანს კი გამართავდა, ან მავზოლეის, ან რაღაც ამის მზგავს, რათა შემოსავლი წყარო გაე-ჩინა!

ნიკორწმინდა ეს ის დიდი, მჭიდროთ დასახლებული სოფელია, რომლის მზგავ-სიც რაჭაში თითქმის ყველა სოფელია. აქ სახლი სახლს იმდენათ ახლო ეკვრის, რომ ამ მხრივ ნამდვილ ქალაქს მოგაგო-ნებთ. რაჭის ადგილ-მამულის დიდი სი-ვიწროის კლასიკური მაგალითი სხვათა-შორის ეს სოფელიცაა, სადაც ორ-სამ მოსახლეს თუ იპოვით, რომ ეზო-გარე-მო ქონდეს.

ნიკორწმინდა ღირსშესანიშნავია არა მარტო თავის ბუნებით. მას აქვს ერთი დიდებული ნაშთი წარსული კულტური-სა—ტაძარი, რომელიც ძველი ქართუ-ლი საეკლესიო ხუროთ მოძღვრების ერ-თი შესანიშნავი მონუმენტია. ისტო-რიულ ინტერესს, ჩვენის ფიქრით, ამ ტა-ძარში იმდენათ შიგნით მხატვრობა, ხატ-სამკაული არ წარმოადგენს, რამდენათაც ქვაზე ამოჭრილი ჩუქურთმები, ის შესა-ნიშნავი ორნამენტაცია, რომელიც ამ-კობს ჩვენ ტაძარს გარეთა და შესავალში. ამიტომ მე ვერაფრით ამიხსნია ის გარე-მოება, თუ რატომ ისეთმა საეკლესიო ხუროთ მოძღვრებისა ⁊ მხატვრობის ღრმა მცოდნემ, როგორიც არის პროფ. კონ-დაკოვი, სრულიად უყურადღებოთ დას-ტოვა ეს მხარე თავის აღწერილობაში. ჩემ გონებაში არას დროს არ ამოიშლება ის ღრმა შთაბეჭდილება, რომელიც ჩემ-ზე, ხელოვნების თითქმის ყოვლად უვიც-ზე, დასტოვა ტაძრის ერთ-ერთ შესავალ კარის თაღზე ამოჭრილმა ორნამენტებმა: ისეთი სიმდიდრე და სხვადასხვაობა ფან-ტაზიისა, ისე წმინდათ ნამუშავერი, ისე-თი ლამაზი სახეები, რომელნიც საგან-გებოთ ხელით დამზადებულ არშიებს მო-გაგონებსთ, თუ არა ვცდები, არსად არ მოიპოება ძველი შესანიშნავი მონასტ-რებით აგრე მდიდარ საქართველოში. კარგათ დამითვალიერებია ბაგრატის ტაძ-რის ნანგრევებიც ქუთაისში, მაგრამ ქვაზე გამოჭრილი ჩუქურთმებით, თავისი წნულ-ხვეულებით უპირატესობა, ჩემი შეხედუ-ლობით, ნიკორწმინდას უნდა მიეცეს.

სხვაფერ ტაძარი შესამჩნევს არას წარ-მოადგენს სხვა ქართულს ცნობილ მო-ნასტრებთან შედარებით; სიდიდით იგი ჩვეულებრივ სოფლის ეკლესიას თითქმის არც კი აღემატება. შენობის სხვადასხვა ნაწილთა შორის იმ ჰარმონიასა და მთლიანობას ვერ ამჩნევთ, რომელიც ყო-ველი სასტიკათ დაცულ ყაიდის კუთვნი-ლებაა: პირველ შეხედვისათანავე არ შე-გიძლიათ არ შენიშნოთ, მაგ., შეუსაბა-მობა გუმბათის სიმაღლისა დანარჩენ კორპუსთან. შიგნით კედლის მხატვრო-ბა ერთობ მკრთალი და ღარიბია. გვი-ჩვენეს სხვათა შორის კედელზე დახატუ-ლი თამარ მეფის სურათი, რომელიც მე-ტათ მდარე ხარისხის ვარიანტათ უნდა ჩაითვალოს, იმდენათ ტლანქათ არის იგი შესრულებული. გელათის ერთ-ერთ ეკვ-თერის შესავალი კარის კედელზე თამა-რია დახატული, იქაურ ბერთა გადმო-ცემით. სურათი, დროთა ვითარების გა-მო, ძალზე დაზიანებულია, მაგრამ ნი-კორწმინდის იმავე თამარის სურათს რომ შეადაროთ, განსხვავებას დიდს იპოვით.

შიგნითვე ტაძრის კედლებზე, რამდე-ნიმე ალაგას, დახატული არიან რაჭის თავადნი წულუკიძენი და მათი მეუღლე-ნი, რომელნიც, როგორც ჩანს, დიდი მფარველი და მწყალობელი უნდა ყო-ფილიყვნენ ნიკორწმინდის ტაძრისა.

გარნა ამ ტაძრის სიმდიდრესა და დი-დათ საგულისხმო მხარეს შეადგენს ხატ-ჯვრები და ის სამკაული, რომელიც დაწვრილებითა და ხელოვნების დიდის ცოდნით აწერილი აქვს პროფ. კონდა-კოვს თავის „Опись памят. древности въ нѣкот. храмахъ и монаст. Грузіи“. ამ განძთა შორის უშესანიშნა-ვესია ვერცხლით მოჭედილი ჯვარი, თავ. წულუკიძეების მიერ შეწირული. უძვირ-ფასესი ამ ჯვარზე ის სამი მინანქრიანი მედალიონია მოციქულთა, რომელნიც, პროფ. კონდაკოვის სიტყვით, მეთერთმე-ტე საუკუნის ბიზანტიურ საუცხოვო ტეხნიკის ნამუშევარს წარმოადგენს. თვით მინანქრები ერთი ფერის როდია: აქ თქვენ ხედავთ ცისფერს, ფირუზის ფერს, ლურჯს, ზურმუხტების ფერს და სხ. მინაქარს, იმისდამიხედვით, თუ რის გაკეთება სწად-და შემასრულებელს—ქაღარა თუ შავი თმისა, ხიტონისა, ოქროს საგნებისა, სხეულისა თუ სხვა რასმესი.

გრ. გველესიანი.

(გაგრძელება იქნება).

**მიღებულია:**
რკინის კოჭები შენობისთვის (Двутавровыя балки)
ნამდვილი ბახმუტის ალიბასტრი.
✦✦ იყიდება ზომიერ ფასათ ✦✦

**სავაჭრო სახლი**
**ი. გოკიელის** შვილების
**ქუთაისში.**

| ბორჟომის წყალი | | თავის ქურქლით | | |
|---|---|---|---|---|
| | | 1 ბოთლი | 10 ბოთ. | ყუთი (ლა?) |
| | 1/2 | 25 კ. | 2 მ. 40 კ. | 11 მ. 50 კ. |
| | 1/2 | 16 1/2 კ. | 1 მ. 60 კ. | 15 მ. 75 კ. |
| ნარზანი და ესენტუკი № 20 | 1/2 | 14 1/2 კ. | 1 მ. 40 კ. | 13 მ. 50 კ. |

**დეპოლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალერის ქ. ქუთაისში.**
**ფ. ს. ფილიპოვისა.**
**ალექსანდრეს ქუჩაზ**

მოიპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, ... ტაკზე საფენი „ლინელოუმი“, სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მძვირფასი საოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის ... ფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშეა.

**პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი.**


ალნიშნა—როგორ ააწიოკეს მგოსნის ოჯახი, მოურავი მოსესა და მისი ცოლის სიკვდილით. მგოსნის წინააღმდეგ ფილიპე მახარაძის წერილები „მოგზაურში“ აღიარა სრულ ჭორათ და სთქვა, დროს ალლო ვერ აართვა, ან განგებ ჩაიდინა ასეთი საქციელიო. ბ. ჯამმა აღნიშნა როგორ ეპყრობოდა მგოსნის მოურავი მემარნიშვილი გლეხებს; სთქვა, რომ მგოსანს უნდოდა მოურავის დათხოვა და მეგობრებმა არ დაათხოვიეს მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ ეცოდებოდათ და სხვ.

მომხსენებელმა აღნიშნა აგრეთვე იმ დროის გაზეთებში მოთავსებული წერილები; მაგ. შეეხო ი. ევდოშვილის წერილებს. მომხსენებელმა სთქვა, რომ ევდოშვილმა აღიარა თავისი წერილების სიყალბე მგოსნის ცხედრის წინაშეო.

მოხსენება ორ ნახევარ საათს გაგძელდა და ბოლოს ასეთი დასკვნა მისცა:

მგოსანი ილია ჭავჭავაძე ასე ვერაგულათ არ იქნებოდა მოკლული: ა) რომ ფ. მახარაძის მოჭორილი წერილები არ დაბეჭდილიყო „მოგზაურში“ ბ) რომ მგოსნის მოურავი მოსე და მისი ცოლი ეკა არ მოეკლათ და გ) რომ მგოსანს არ დაეჯერებია და მოურავი ადრე დაეთხოვა სამსახურიდან.

მოხსენება შინაარსიანი გამოდგა.

**დამსწრე.**

## ოკრიბა.

ს. კურსები. (ოკრიბის მხარე) კვირას, 11 აგვისტოს ადგილობრივ ბიბლიოთეკა სამკითხველოს სასარგებლოთ გაიმართა წარმოდგენა მუსიკალური და სალიტერატურო განყოფილებით. თავდაპირველათ სერ. გერსამიამ გააცნო საზოგადოებას ბიბლიოთეკა-სამკითხველოსა და თეატრის მნიშვნელობა, შემდეგ პატარა ბავშვებმა ითამაშეს ლუვაშევიჩის პიესა „წითელი ყვავილი. სავუცხოვოთ შეასრულა უმთავრესი როლი გელოვანის პატარა ბავშმა; ითამაშეს ილია ჭავჭავაძის „დედა და შვილი“ და აკაკის „პატარა კახიდან“ მეორე მოქმედება. შემდეგ წარმოდგენისა მომღერალთა გუნდმა ურუშაძის ლოტბარობით იმღერა რამდენიმე ქართული ხმა. დასასრულ გაიმართა ცოცხალი სურათები. სალამო მრავალფეროვანი იყო და საზოგადოება დიდათ ნასიამოვნები დარჩა. სასურველია, ასეთი სალამოები სოფლათ ხშირათ იმართებოდეს, რაც დიდს სარგებლობას მოუტანს ადგილობრივ მცხოვრებლებს. სალამოს დიდძალი საზოგადოება დაესწრო. მადლობის ღირსნი არიან: ქქ. ალ. ბერეკაშვილის ასული, ნ. ნიშნიანიძის ასული და სტ. ტ. რონიშვილი, რომელთაც დიდი შრომა მიუძღვისთ სალამოს მოწყობაში სალამოს წმინდა შემოსავალი რვა თუმნამდი დარჩა.

## რუსეთი.

ათონის ბერები. ათონის ბერებისგან გაგზავნილი დელეგაცია პეტერბურგს მივიდა და სთხოვა სინოდს მათი საქმის ხელმეორეთ განხილვა. ათინის ბერების თხოვნა 13 გვერდს შეიცავს. თხოვნაში აწერილია ათონის ბერთა არეულობის ისტორია და ამ არეულობის მოსასპობათ ნიკონის მიერ მიღებული ღონის ძიებანი. ბერები ბრალს სდებენ არქიეპისკოპოზს ანტონს.

სტუდენტების მიღება. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გამორიცხული 517 სტუდენტთაგან მანიფესტის ძალით მიიღებენ 183 სტუდენტს. აქიდან ჯერჯერობით 50 სტუდენტი მიიღეს. სტუდენტთა დიდი უმრავლესობა ამჟამათ გადასახლებულია. სამინისტრო ამჟამათ არკვევს პოლიტეხნიკუმის იმ სტუდენტთა სიას, რომელთაც მანიფესტის ძალით მიიღებენ.

## უცხოეთი.

ანარქისტთა კონგრესი. პარიზში ამ რამდენიმე დღის წინათ ანარქისტთა კონგრესი მოხდა. კონგრესის გახსნისას წაიკითხეს პ. კროპოტკინისა და პ. რეკლიუს წერილები. კროპოტკინი და რეკლიუ მწუხარებას გამოსთქვამდენ, რომ კრებას ვერ დაესწრენ. კონგრესის წევრები ორ მოპირდაპირე ჯგუფათ გაიყვენ, ანარქისტ-კომუნისტებათა და ანარქისტ-ინდივიდუალისტებათ. პირველი ჯგუფის წინადადება მეორე ჯგუფის პროტესტს იწვევდა, ამგვარათვე მეორე ჯგუფისა პირველისას. ნაციონალური ფედერაციის შექმნის შესახებ პროექტი წარმოადგინეს. ანარქისტ-ინდივიდუალისტებმა ამ პროექტის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადეს. ანარქიზმის მოძღვრება არავითარი ორგანიზაციის არსებობას არ იწყნარებსო.

კრება. სეკტემბრის თვეში ბერნაში მოხდება საერთაშორისო კრება შრომის მფარველი საზოგადოებების წარმომადგენელთა. კრებას დიდი პრინციპიალური მნიშვნელობა ექნება. ქალთათვისა და მცირე წლოვანთათვის კრება განსაზღვრავს სამუშაო დროს.

## მშრომელი ხალხი.

ბაქოს ამბები. სატახტო გაზეთების ცნობით ბაქოში მუშათა გაფიცვა თანდათან კლებულობს. მუშებმა რამდენიმე სამრეწველოში უკვე დაიწყეს მუშაობა. ექვსს სამრეწველოში უკვე სწარმოებს მუშაობა. „დენის“ ცნობით, პეტერბურგში მრეწველებს მიუღიათ ცნობა—გაფიცვა სულ ერთიან მოიხსნაო. იმის ცნობა არ არის ჯერ, თუ რა პირობებში შეთანხმდენ მუშები და მრეწველები. წვრილი მრეწველები შეუთანხმდენ მუშებს და მათ სამრეწველოებში 8 აგვისტოს 1500 მუშამ გააახლა მუშაობა. 8 აგვისტოს სულ 20 ფირმა გააახლა მუშაობა. ჩხეიძემ და სკობელევმა ბაქოს გრადონაჩალნიკი ინახულეს. გრადონაჩალნიკმა უთხრა მათ, ყოველი ზომა მიღებულია, რომ პოლიცია უმიზეზოთ არ ჩაერიოს გაფიცვის საქმეშიო. დღემდი პოლიციელებს არავითარი უკანონობა არ ჩაუდენიათო.

დაპატიმრება. პეტროკოვის გუბერნატორმა 274 მუშა დააპატიმრა, თვითოეულ მუშას 2 თვიდან 3 თვემდი ციხეში ჯდომა აქვს გადაწყვეტილი.

შეკითხვა ობუხოვის ქარხანაში გაფიცვა გძელდება. დეპუტატი ბადაევი ამ გაფიცვის გამო შეეკითხა სამხედრო მინისტრს—რა ზომებია მიღებული მოლაპარაკების გასამართავათო.

რედაქტორ-გამომცემელი **გ. ჭელიძე.**

## რკინის გზა

**ქუთაისიდან მიდის.**

**თფილისს:** სახალხო 5 ს. 10წ. დ.; სახ 10 ს. 6 წ. დ.; ფოშტ. 11 ს. 55 წ. დ.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ.
**ბათომს:** სახ. 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 7 ს. 5 წ. სად.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. დ.
**ფოთს:** საავგარაკო 4 ს. 22 წ. დ.; სახალ. 5 ს. 10 წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. სად.; სახ. 7 ს. 56 წ. სად.
**შორაპანს:** საავგარ. 4 ს. 57 წ. დღ.
**ტყიბულს:** სახ. 7 ს. 50 წ. დილ.; სახ. 3 ... 45 წ. დღ.

**ქუთაისს მოდის.**

**თფილისიდან:** სახ. 7 ს. დილ.; სახ. 8 ს. 26 ... სად.; ფოშტ. 6 ს. 56 წ. სად. ... სახ. 1 ს. 26 წ. ღამით.
**ბათომიდგან:** ფოშტ. 1 ს. 20 წ. დღ.; სახ. 1... 14 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღ.; ... 7 საათ. დილ.
**ფოთიდან:** საავგ. 10 ს. 3 წ. დილ.; სახ. 1... 20 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. ...
**შორაპნიდან:** საავგ. 9 ს. 31 წ. დილ.
**ტყიბულიდან:** სახ. 5 ს. 11 წ. დღ. სახ. 1... საათ. 9 წ. დილ.


ს.-პეტერბურგის **ქიმიური ლაბორატორია**
დაფუძ. 1860 წ.

**დუხი და ყვავილის ოდეკალონი**

ორიგინი,
იდილისი,
ციკლამენი და
პირველი ყვავილი

ორიგინალური, საუცხოო და ხანგრძლივი მაღალი ღირსების.

იყიდება კავკასიის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიასა და აფთიაქში.
პარიზში ოქროს მედლით დაჯილდოვებული 1900 წ.

**ახალი გამოგონება მეცნიერებაში**

ერთადერთი სახმარებელი ვენახის აქიმობისათვის და მცენარეთა დასაცავათ სოკოების ავათმყოფობისაგან და მწერთაგან

**ახალი სითხე უაკმენის ᲣᲣ**

უმთავრესი წარმომადგენელი მთელი რუსეთისათვის **კანტორა კლო ელურული ქუთაისში** საწყობი და ნარდი გაყიდვა **ი. გოკიელოვის შვილების სავაჭრო სახლში ქუთაისში.**

**საუკეთესო საკვები ცხენებისათვის და საქონლისათვის.**

**„პატოკსან“.**

„**პატოკსან**“ შეიცავს 42 პროც. შაქარს (სრულიად რუსეთის შაქრის მრეწველთა ლაბორატორიის ანალიზი № 640.

„**პატოკსან**“ საუკეთესო საშუალებაა საქონლის ღონის შერჩენისათვის და შემატებისათვის (მოხსენება აქ. იოტეიკოსი ლიეჟის შაქრის მრეწველთა კონგრესზე).

„**პატოკსან**“ ხელს უწყობს საქონელს და ცხენებს საჭმლის მონელებაში, რაც თავის რიგათ ეხმარება შრომის უნარისა და სიცოცხლის უნარის შემატებას,

„**პატოკსან**“ ხელს უწყობს რომ რძის მომცემ საქონელს რძე გაუუმჯობესოს და დღიური ნაწველიც გაადიდოს.

„**პატოკსან**“ თავის ნოყიერების გამო ძალიან მარგებელია და ეკონომიური საჭმელი.

ვინც მოისურვებს გაეგზავნება ერთი ფუთი 1 მ. 20 კ. გაგზავნის ფასს ვიხდით ჩვენ. გაგზავნის დროს ყოველგვარი ცნობა და მომხმარებლების აზრი უფასოთ იგზავნება ამიერ კავკასიისათვის.

ერთადერთი წარმომადგენელი ამიერ კავკასიისათვის **„გეორგი რუსინოვ და ამხ.“** თფილისში ვერის დაღმართი № 12 ტელეფონი 11—37 და 11—77. დეპეშით მისამართი: „რუსინოვს თფილისში“.

ქ. ქუთაისში (სობოროსთან
**ა. თაბაგარის მაღაზიაში**
**20 ივლისიდან დანიშნულია**
**დიდი იაფი ვაჭრობა**
**ველოსიპედების და სხვ.**



ამასთანავე მიღებულია დიდძალი საკერი, საქსოვი და საწერი მაშინებ...
გრამაფონები და მათი მოწყობილობა.
ფასები ძლიერ დაკლებულია

**ხრესილი.**
**სამკურნალო აბანო**
მძვირფასი მთის აერზე
**ძმ. ყორყოლაძეების**
ექიმი თვალით იხილეთ და დარწმუნდებით.

შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმი) კუჭისა და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. აქვეა სუფთა ბინა და სასმელსაჭმელი, აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას. ხრესილის სადგურიდან დაშორებულია ორმოცდაათი საჟენის მანძილზე.

**გ. გორდაძის და ს. წერეთლის**

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომის და სოხუმის ოლქ... უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მინ... ბის ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОЕ“

**რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:**
საუკეთესო
ქარხნებისგან
**მიღებული რკინეული**
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი სალებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილებანი, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი და სხ.
**ვაჭრობა პარტიითა და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.**
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65.


ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.